საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გვირგვინი

გვირგვინი, 1. მონარქიული ხელისუფლების სიმბოლო – ძვირფასი ლითონისაგან (უმთავრესად ოქროსაგან) დამზადებული, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი თავსამკაული. გ-ს ძვ. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, სხვადასხვა მოყვანილობა ჰქონდა. მისი ფორმა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. გ. მეფობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო იყო. ამიტომ მეფეს „გვირგვინოსანს“ უწოდებდნენ. 2. ჯვრიან-ფოჩებიანი საქორწინო რკალისებრი სამკაული, რ-საც ჯვრისწერის დროს თავზე ადგამდნენ დასაქორწინებელ ქალ-ვაჟს (ნეფე-დედოფალს).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 2, თბ., 1984 (*თხზ.* თორმეტ ტომად, ტ. 7), გვ. 149–157.

2) გვირგვინი შენობისა, საქართველოში გავრცელებული დარბაზული ტიპის საცხოვრებელი სახლის კარვის ფორმის (პირამიდული) გადახურვა, რ-საც მაღლა სასინათლო და საკვამური ხვრელი აქვს დატანებული. ამოყვანილია საფეხურებად ერთმანეთზე დალაგებული, ძელებისაგან შეკრული და ზემოთკენ თანდათან შევიწროებული მრავალკუთხედების წყობით. გ-ის კონსტრუქცია ორგვარია – პარალელური (როცა ერთმანეთზე დაწყობილი მრავალკუთხედების გვერდები პარალელურია) და კუთხური (ყოველი ზედა მრავალკუთხედის გვერდები კუთხეზე ჰკვეთს ქვედა მრავალკუთხედს). გ-მა განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო უძველესი კოლხური სახლიდან ახალციხის თუ ერთაწმინდის დარბაზულ კომპლექსებამდე. იხ. აგრეთვე სტ. დარბაზი.